ფოტოკონკურსი "ბიზნესი ცხოვრობს Covid 19-თან ერთად"

Photography Competition "Business vit avec le Covid-19"

ფოტოკონკურსის შესახებ

თსუ ეროვნულ სამეცნიერო ბიბლიოთეკასთან არსებული **თბილისის ბიზნესისა და ახალი ტექნოლოგიების ცენტრი** ფრანკოფონიის საუნივერსიტეტო სააგენტოს (AUF) მხარდაჭერით, 1 - 30 ნოემბერს გეგმავს ფოტოგამოფენა -კონკურსს სახელწოდებით:
„ბიზნესი ცხოვრობს Covid-19 თან ერთად“

გაეცანით დეტალურ ინფორმაციას ფოტოკონკურსის პირობების შესახებ:

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია სტუდენტებსა და მათ პროფესორებს, მკვლევრებს, ბიზნეს ორგანიზაციების წარმომადგენლებს, ფოტოგრაფიით დაინტრესებულ პირებს.

ფოტოკონკურსის მონაწილეების რეგისტრაცია: 1 ნოემბერი – 10 ნოემბრის ჩათვლით ბმულზე

https://forms.gle/AiYZzHuSzqa1qmBQA

საკონკურსო ნამუშევრების მიღება: 1 ნოემბერი - 15 ნოემბერი;

კომისიის მიერ ნამუშევრების წინასწარი შერჩევა: 16 ნოემბერი -19 ნოემბერი;

ორგანიზატორების მიერ ნამუშევრების ბეჭდვა: 20 ნოემბერი - 22 ნოემბერი;

საკონკურსო ნამუშევრების გამოფენა: 24 ნოემბერი - 30 ნოემბერი;

გამარჯვებული ნამუშევრების გამოვლენა და დაჯილდოება: 24 ნოემბერი.

ნამუშევრების მიღების შემდეგ, კონკურსის პირობების თანახმად, კომისიის მიერ მოხდება 15 ფოტონამუშევრის შერჩევა, რომელთა შორისაც გამოვლინდებიან გამარჯვებულები. მათ ფულად პრიზებსა და ჯილდოებს გადასცემენ პროექტის პარტნიორები და სპონსორები:

ფრანკოფონიის საუნივერსიტეტო სააგენტო (AUF)

I პრიზი - 300 ევროს ექვივალენტი ლარში;

II პრიზი - 200 ევროს ექვივალენტი ლარში;

III პრიზი - 100 ევროს ექვივალენტი ლარში.

სპეციალური პრიზი „საქართველოს ბანკი“

“კომპანიის რჩეული” - 1200 ლარი.

„სპონსორის რჩეული“ პრიზები გაიცემა სპონსორი კომპანიების მიერ.

პროექტის სპონსორები არიან :

- საქართველოს ბანკი ;
- საქართველოს ფოტოგრაფთა ასოციაცია;
- ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა;
- ქარჩხაძის გამომცემლობა ;
- მეწარმე ქალთა საბჭო;
- საქართველოს ორგანული ჩაის მწარმოებელთა ასოციაცია;
- ყველის სახლი ფალიაშვილზე;
- ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის განვითარების ფონდი.

გაიცემა ასევე პრიზი **„Facebook-ის გვერდის რჩეული“.**

საკონკურსოდ შერჩეული ნამუშევრები 15-23 ნოემბერს განთავსდება **ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკისა და თბილისის ბიზნესისა და ახალი ტექნოლოგიების ცენტრის Facebook-ის გვერდებზე და რჩეული** გამოვლინდება დაგროვილი „Like“- ების რაოდენობის მიხედვით. გამარჯვებულს პრიზს გადასცემს ***ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის განვითარების ფონდი.***

საკონკურსოდ ფოტო შეიძლება გადაღებული იყოს მობილურით, ფოტოკამერით. ფოტოს პარამეტრები რეზოლუცია 300dpi 1024 x 768 pixels; ნამუშევრები წარმოდგენილი უნდა იყოს TIFF/JPG ფორმატში.

ორგანიზატორების მიერ საკონკურსოდ შერჩული ნამუშევრების ბეჭდვა - არანაკლებ A2 ფორმატი, ქაფმუყაო.

კონკურსში მონაწილეობას ვერ მიიღებენ პროფესიონალი ფოტოხელოვანები!

გთხოვთ, საკონკურსო ნამუშევრები გამოაგზავნოთ შემდეგ ელ-ფოსტაზე: cantt@sciencelib.ge

ფაილი დაასათაურეთ თქვენი სახელითა და გვარით;

ელ-ფოსტის „subject“-ში ჩაწერეთ სიტყვა - „ფოტოკონკურსი“;

ელ-ფოსტის ტექსტურ ნაწილში მიუთითეთ თქვენი სახელი, გვარი და ნამუშევრის

ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკა

AUF

Student card

ქარჩხაძის გამომცემლობა

სულაკაურის გამომცემლობა SULAKAURI PUBLISHING

წიგნები მთელი ოჯახისათვის

W3Council

APG

ASSOCIATION OF PHOTOGRAPHERS OF GEORGIA

GEORGIAN ORGANIC

Producers Association

ყველის სახლი

Cheese House